უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან რუსეთის პრეზიდენტ ვ.ვ. პუტინის შეხვედრაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.10.2023. 2023 წლის 25 ოქტომბერს კრემლის ეკატერინეს დარბაზში გაიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ.ვ. პუტინის შეხვედრა რუსეთის რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ, **– იუწყება** პატრიარქის პრეს-სამსახური.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეხვედრაში ასევე წარმომადგენდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი გრიგოლი და ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე ვ.რ. ლეგოიდა.

შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ: რუსეთის მუსლიმთა ცენტრალური სულიერი სამმართველოს თავმჯდომარე, უმაღლესი მუფთი ტალგატ ტაჯუდინი; რუსეთის ფედერაციის მუსლიმთა სულიერი სამმართველოს თავმჯდომარე, რუსეთის მუფთების საბჭოს თავმჯდომარე მუფთი რავილ გაინუტდინი; ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმთა საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე, მუფთი ისმაილ ბერდიევი; რუსეთის ბუდისტური ტრადიციული სანგას მეთაური პანდიტო ხამბო-ლამა დამბა აიუშევი; რუსეთის მთავარი რაბინი ბერელ ლაზარი; რუსეთის ებრაული თემების ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბოროდა; რუსეთში ებრაული რელიგიური ორგანიზაციებისა და ასოციაციების კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი ივან სუსაიკოვი; სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რუსეთისა და ახალი ნახიჩევანის ეპარქიის წინამძღვარი, მთავარეპისკოპოსი ეზრას ნერსისიანი; რუსეთის ძველმესტილე მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი კორნელიუსი; რუსეთის ევანგელური სარწმუნოების ქრისტიანთა (ორმოცდაათიანელთა) გაერთიანების მმართველი ეპისკოპოსი სერგეი რიახოვსკი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს რუსეთის შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების და, საერთოდ, ყველა იმ პირის მხარდაჭერისთვის, ვინც „რუსეთის სასარგებლოდ იბრძვის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ფარგლებში“.

ვ.ვ. პუტინმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ასევე ახლო აღმოსავლეთსა და წმინდა მიწაზე მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე, რომელსაც „საკრალური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანებისთვის, მუსლიმებისთვის, ებრაელებისთვის – მსოფლიოს უმსხვილესი ტრადიციული რელიგიების მიმდევრებისთვის“.

სახელმწიფოს მეთაურმა შეხვედრის მონაწილეებს საზოგადოებრივი ერთიანობის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და რელიგიათაშორისი დიალოგის განვითარების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები ერთად ახორციელებენ სოციალურ და საქველმოქმედო პროექტებს, – მე კიდევ ერთხელ დავუბრუნდები იმას, რითაც დავიწყე, – დახმარებას უწევენ სპეცოპერაციის მონაწილეებს, მათ ახლობლებს. ჩვენი ტრადიციული რელიგიების წვლილი დიდია ოჯახური ფასეულობების განმტკიცებაშიც, ასევე, ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდაში და, რა თქმა უნდა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ჰარმონიულ განვითარებაში, რომელიც ეფუძნება თანხმობასა და ურთიერთგაგებას სხვადასხვა ეთნოსის, ტრადიციისა და რელიგიის ადამიანებს შორის“, – განაცხადა ვ.ვ. პუტინმა.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურს და ყველა იქ შეკრებილს სიტყვით **მიმართა** უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

სიტყვით გამოვიდნენ შეხვედრის სხვა მონაწილენიც.

გამოსვლების მთავარი თემა ახლო აღმოსავლეთში პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მკვეთრი გამწვავება იყო.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვებგვერდის *ფოტო*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90926/